



გაეროს ღაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინინსტრო

N 1101/01
29/01/2020

1101-01-2-202001292055



შპს „კავკასენერგოს“

მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2

თქვენი 2019 წლის 9 დეკემბრის N17851 წერილით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშისა და ჭუბერის თემის ტერიტორიაზე, შპს „კავკასენერგოს“ მიერ მშენებარე ჰიდროელექტროსადგური „ნენსკრას“ სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად (ეგხ-ის და ქვესადგურის რეკონსტრუქცია-ექსპლუატაცია, ეგხ-ების და ქვესადგურების მშენებლობა-ექსპლუატაცია), ელექტროენერგიით დროებითი მომარაგების პროექტს გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:


- დაზუსტებას საჭიროებს გეოლოგიურ პროცესებთან (მეწყერები, მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, ღვარცოფული მოვლენები, კლდეზვავების გავრცელების უბნები და ა.შ.) დაკავშირებული ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად რა ღონისძიებებია გათვალისწინებული და ასევე ამ პროცესების მონიტორინგის საკითხები მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე;
- ხუდონი-ნენსკრას და ჰესის შენობის 110/35 კვ-იანი შემაერთებელი ელექტროგადამცემი ხაზის ზოლი გადის მდინარე ენგურისა და მდინარე ნენსკრას ხეობებში, მისი სიგრძე 30 კმ-მდეა. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი გადაკვეთს სხვადასხვა გეომორფოლოგიურ ელემენტებს, მათ შორის მაღალმთიანეთს, მდინარეებსა და ღვარცოფიან ხევეებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტროგადამცემი ქსელის ხაზზე, გამორიცხულია ერთგვაროვანი საინჟინრო გეოლოგიური პირობები, მით უმეტეს, რომ (როგორც გზშ-ის ანგარიშშია აღნიშნული) ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში ფიქსირდება საშიში გეოლოგიური მოვლენებისა და პროცესების ზონები, სადაც საჭიროა დეტალური საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შესრულება და გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, აღნიშნული საკითხები გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი.
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დაძიებულ სიღრმემდე 4,0-6,0 მ არც ერთ გამონამუშევარში გრუნტის წყალი არ გამოვლენილა, რაც არის დადებითი წინაპირობა ნებისმიერი მშენებლობისათვის. ამასთან აღნიშნულია, რომ მდ. ენგურის კალაპოტში გრუნტის წყლის დონე დაფიქსირდა 2,0 მეტრის სიღრმეზე (შურფი №35). შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

- პროექტით განსაზღვრულია, რომ ანძა N35 დამონტაჟდება მდინარის კალაპოტში, ხოლო მისი საყრდენის ფუნდამენტი აღმოჩნდება წყალში (გვ. 109); დასაზუსტებელი და წარმოსადგენია რა პრევენციული ღონისძიებებია გათვალისწინებული, ანძის მდინარის კალაპოტში დამონტაჟების გამო.

ამასთან დასკვნებში და რეკომენდაციებში არ არის დასაბუთებული, თუ როგორ უნდა იქნას აცილებული თავიდან რთული საინჟინრო გეოლოგიური მოვლენები და პროცესები, რომელთაც ადგილი აქვთ ელექტროგადამცემი ხაზის ზოლის გასწვრივ.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დამატებით წარმოადგინოთ დაზუსტებული ინფორმაცია.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე